№ 86 **სახალხო გაზეთი** № 86

ხუთშაბათი, 19 აგვისტო, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი


**ქართული დრამატიული საზოგადოებ. გამგეობა**
აუწყებს ქართულ თეატრის ყველა გულშემატკივარს, რომ ორშაბათს, 16 აგვისტოს, დილის $9^{1}/_{2}$ საათზე, ხან მოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დამსახურებული და ნიჭიერი მსახიობი ქალი

**ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა.**

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ნახევარ საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა ხუთშაბათს, 19 აგვისტოს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (0—3)

**ტფილისის ქართული დრამატიული დასის** მსახიობნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგის

**ნატო გაბუნია-ცაგარლის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს $6^{1}/_{2}$ საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა ხუთშაბათს 19 აგვისტოს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (0—3)

**თამარ ალექსანდრეს ასული და კონსტანტინე მანუჩარის ძე ნარაკიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 16 აგვისტოს დილის 9 ნახ. საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი დედაზე უფრო ნაამაგდრევი

**ნატო გაბუნია-ცაგარლისა**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 ნახ. საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, სადაც დასვენებულია ცხედარი. დაკრძალვა ხუთშაბათს, 19 აგვისტოს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

რედაქცია **„თეატრი და ცხოვრება“** გულითადის მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ორშაბათს, 16 აგვისტოს დილის $9^{1}/_{2}$ საათზე გარდაიცვალა ქართულის თეატრის დედაბოძთაგანი და დამამშვენებელი

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა.**

დაკრძალულ იქმნება ხუთშაბათს, 19 აგვისტოს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (0—2)

**ძმ იოსებ მერაბის ძე გაბუნია** ძეულლითურთ და დები — **კნეინა დარია მერაბის ასული ციციშვილისა, კესარია მერაბის ასული ტატიშვილისა და მარიამ მერაბის ასული კიკნაძისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ **ორშაბათს, 16 აგვისტოს, დილის 9 ნახ. საათზე გარდაიცვალა** ძვირფასი და

**ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 ნახ. საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, სადაც დასვენებულია მიცვალებული. დაკრძალვა—ხუთშაბათს, 19 აგვისტოს, კუკიის წმ. სასაფლაოზე. (0—2)

**ზუბალ. სახალ. სახლში ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობა** აუწყებს წრის წევრებს, რომ ქართულმა სახალხო თეატრმა დაჰკარგა ერთი საუკეთესო უანგარო თავდადებული მუშაკი: ორშაბათს, 16 აგვისტოს გარდაიცვალა მსახიობი ქალი

**ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა**

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში ხუთშაბათს, 19 აგვისტოს. დასაფლავება მოხდება იმავე დღეს. გამგეობა სთხოვს წრის წევრებს დაესწრნენ დასაფლავებას. (1—1)

**ავლაბრის ქართული დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა ამხანაგობა** გულითადის მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ძვირფას და ნიჭიერ მსახიობის

**ნატალია მერაბის ასულის გაბუნია-ცაგარლის**

გარდაცვალებას. განსვენებულის დაკრძალ. დღის კუკიის სასაფლაოზე.

„**სორაპნის**“ **ამხანაგობის გამოცემა**
**დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად სკოლებში შესასწავლი**

**ქართველი მწერლები**

წიგნი პირველი, შედგენილის **ივ. გომელაურის** მიერ,
**ფასი ყდით 80 კაპ.**

ეს უკანასკნელი მესამე გამოცემა შევსებულია და შესწორებული. კავკასიის სამოსწავლო ოლქი. მზრუნველის საბჭოს დადგენილებით სასწავლებლებში ამ წიგნის ხმარება ნება-დართულია. წიგნის გამოწერა შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიიდან. საზოგადოების მაღაზია დაუთმობს ამ წიგნზე ისე, როგორც სხვის გამოცემებზე ჩვეულებრივ 20 პროც. წიგნის გამოწერა შეიძლება აგრეთ გამომცემლისაგანაც. ადრესი: Тифлисъ, т-во „Соралан ъ“.
**იბეჭდება და გამოვა გასასყიდად 1 სექტემბრისათვის მეორე წიგნი „ქართველი მწერლები“.** (5—5)

ქ. ქუთაისში
**თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის**
**წიგნის მაღაზიაში**
დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული
**სახელმძღვანელო წიგნები.**

სახალხო სასწავლებლებს, სახალხო ბიბლიოთეკებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10 პროცენტი. ყდაზე გადახდებათ თითო შაური. ვინც ფასდადებით გამოიწერს, მან ბე უნდა გამოგზავნოს. აქვე იმყოფება უმთავრესი საწყობი შემდეგი წიგნებისა:

1. გუთანი, ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი, შედგენილი ქუთ. ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ . . . . . . . ფასი 80 კ.
2. ქართული გრამატიკა ს. ხუნდაძისა, . . . . . . „ 50 „
3. ქართული წერის დედანი, ს. დათეშიძისა, . . . . . „ 20 „
3. ბატონ-ყმობა საქართველოში, ალ. ხახანაშვილისა, . . . . „ 50 „
5. საქართველოს ისტორია ს. ქვარიანისა, . . . . . „ 25 „
6. ელისო, მოთხრობა ალ. ყაზბეგისა, . . . . . . „ 10 „
7. დედა-ენის ზოგიერთი სიტყვების განმარტება, პ. ჭარაიასი. . „ 15 „

(25—6.—3)

**გორის ქვეს კლასიანი სავაჟო პროგიმნაზია**

ამით აცხადებს, რომ დამატებითი **გამოსაცდელი** ეგზამენები გორის პროგიმნაზიაში დაიწყება — **23 აგვისტოს** — ხოლო **მისაღები 25** აგვისტოს. (5—6.—5)

**წიგნის გამომცემელი ამხანაგობა „ალიონი“**

ამით აცნობებს, რომ წიგნებზე ხელის მოწერა ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო გაგრძელდება პირველ სექტემბრამდე. წიგნების გამოცემა უზრუნველყოფილია.
(0—6.—7) ამხანაგობა „ალიონი“-ს გამგე **ვ. გადილია.**

**გორის ქალთა ანასტასიის გიმნაზია**

ამით აცხადებს, რომ გიმნაზიის მოწაფეთა ხელმეორე (ПЕРЕЭКЗАМЕНОВКИ) და მისაღები გამოცდები დაიწყება **24 აგვისტოდან** (5—6.—5)



**ქართული სახაფხულო თეატრი**
დღეს, ხუთშაბათს, 19 აგვისტოს,
● **უკანასკნელი დღე** ●
**ჭიდაობისა!**
**დღეს გვეთხოვებიან მოჭიდავენი!**
✦ **დღეს ბენეფისია ყველა ფალავნებისა!** ✦
**ჯილდოთა დარიგება!**
დღეს გაიმართება დიდებული დღესასწაული მოჭიდავეთა და ფალავანთა.
**გადამწყვეტი და დასაბოლოებელი ჭიდაობა!**
დღეს ყველა მოჭიდავენი ორჯელ იჭიდავებენ.
საჩუქართა დარიგება:
1. საჩუქარი—ცისფერი ლენტი და ქ. ტფილისის ფალავნის წოდება; 2. საჩუქარი—დიდი ოქროს მედალი; 3. საჩუქარი—დიდი ვერცხლის მედალი; 4. საჩუქარი ვერცხლის პატარა მედალი; 5. საჩუქარი—ვერცხლის აზარფეშა, იმის გამოსარკვევად, თუ ვის ეკუთვნის საჩუქარი, დღეს იჭიდავებენ: პეტერსონი, აპპოლონი, ყოფილი შავი ნიღაბი, ვან-როტენი, იანოშ ნაჯი. ყოფილი წითელი ნიღაბი, მიხელ მაერი, კულა გლდანელი და ჯიბგირი.
ჭიდაობის დაწყებამდე სინემატოგრაფის სეანსები.
ბაღში შესასვლელი ფასი 20 კაპ.
**ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია.**

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 ს.
**გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინა, ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ჭაჭანიძე ტ. ს.** შინაგანი, ორშ. და ოთხშ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარ. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი გ. ა.** ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**ხობოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—256)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**შ. ა მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^{1}/_{2}$—$2^{1}/_{2}$ ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ა. პოპოვი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6. 417)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა (უ)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. გერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.— 127)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს, ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—197

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს $6^{1}/_{2}$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ფიზრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—6.—47)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე გადავიდა**
იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი გ. ნ. მაგაკიანი**
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადოდ). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—საღ.—12)

**ქიათურის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა**

**აცხადებს**

რომ სურს მსახიობი ქალი—გამოცდილი—სცენისათვის მთელის წლის განმავლობაში, წლიური ჯამაგირი 600 მანეთი და სრული ბენეფისი. მსურველმა უნდა მიმართოს თხოვნით, შეიძლება გამოგზავნა ფოსტით, ქიათურა, გამგეობა ქართ. დრამ. საზოგადოებისა.
ამასთანავე სთხოვს წევრთა შემოიტანონ საწევრო ფული 1909 წლისა. წლიური კრება დანიშნულია 19 სექტემბერს. (3—2)

**სურამის კერძო პროგიმნაზიაში**
1910 წლის პირველ ენკენისთვიდან
**იხსნება მე-2 კლასი.**
მისაღები ეგზამენები დაიწყება 25 აგვისტოდან. (4—382—1)

**პირველი**
**ყველასათვის ხელ-მისაწვდომი**
● **კლასები ფორტეპიანოსი** ●
თავისუფალ მხატვრის პიანისტის
**იოსებ გიორგის ძე ტერ-დავიდოვისა.**
ტფილისი. ელისაბედის ქ., N 40.
**გაკვეთილი:**
თავის ბინაზე 10 მ. თვეში (კვირაში 2 გაკვეთილი) და 8 მ. თვეში (კვირაში 1 გაკვეთილი).
გაკვეთილი მოწაფის ბინაზე: 25 მ. თვეში (კვირაში 2 გაკვეთილი), და 15 მ. თვეში (1 გაკ. კვირაში). ვისაც თვის დასახელობში, წინ და წინ. ღარიბები, ვისაც ნიჭი აქვს, უფასოდ სწავლობს და მიიღებიან კონკურსით თავისუფალ ადგილებზე. ამათ უნდა წარმოადგინონ სიღარიბის მოწმობა. უფასო ადგილი 30.
ვინც დაწინაურდება, გაივლის მუსიკის თეორიასაც. ყოველ წელს იმართება კონცერტები. უქმობენ კვირა-უქმე დღეებს. (20—6.—2)

**დაიბეჭდა და იყიდება**
თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ქუთაისში
**ბატონ-ყმობა საქართველოში**
ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. ფასი 50 კაპ.
**საქართველოს ისტორია**
ს. ქვარიანისა.
ფასი 25 კაპ. (15—ფ.—7)


## დეპეშები

(„პეტერ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 აგვისტო.

**საზღვარ-გარედ**

**რეჯიო-დი-კალაბრია.** დილის სამ საათზე მიწა ძლიერად იძრა. მცხოვრებლები ქალაქ გარედ დაბანაკდნენ. მიწა იძრა აგრეთვე მესინაში, ჯერაოში, მანტელეონში, გალიპში, მილანოში და მილეტოში. მილეტოს ობსერვატორიის მოწყობილება გაფუჭდა. ცნობების მიხედვით მიწის ძვრას ზიანი არაფერი მოჰყვა.

**ცეტინიე.** დღესასწაულის პირველი დღე სადღესასწაულო წარმოდგენით დამთავრდა. ამ დღეს ზაგრების დასმა შეასრულა მეფე ნიკოლოზის დრამა: „ბალკანეთის ხელმწიფა“. ქალაქი და ახლო მახლო მთები გაჩირაღდნებული იყო. საღამოსას აანთეს ფეიერვერკი. მეფედედოფლის 50 წლის შეუღლების დღესასწაული ორშაბათს დილით დაიწყო. მეფე-დედოფალი მარტო წავიდნენ ეკლესიაში, სადაც 50 წლის წინად მათ ჯვარი დაიწერეს და წირვა მოისმინეს. სასახლეში დაბრუნებისას მათ მიულოცეს სტუმრებმა. სასახლის წინ „გაუმარჯოს“ ძახილით და ქუდების ჰაერში სროლით გაიარეს ცეტინიეს სკოლების მოსწავლეებმა, 1860 წლის ვარალ შესხმულმა ჩერნოგორიის რაზმმა, ყველა პროვინციების დეპუტატებმა, სამინისტროთა მოხელეებმა, ოფიცრებმა და სხვ. [illegible] მეფე მეუღლით ავანზე იდგა. საუზმის შემდეგ იტალიის მეფე დედოფალი ავტომობილით ანტივარში წავიდნენ.

**თავრიზი.** თავრიზის სავაჭრო პალატა იღებს მრავალ წინადადებებს ჯერჯერობით გერმანიის ფირმებისაგან. ზოგ-ზოგი მათგანი წინადადებას იძლევა საკუთარ ხარჯზე გავხსნით ჩვენ ნაწარმოებთა გამოფენასო. ერთმა ფირმამ გამოგზავნა სამეფურნეო იარაღთა გამოფენის პროექტი.

**ბერლინი.** მოხსენებულ შემთხვევათა გარდა იმავე სახლში ორი ქალი გახდა კიდევ ავად ხოლერის სიმპტომებით.

**ბრიუსელი.** დილით დეპუტატთა პალატის დარბაზში გაიხსნა საპარლამენტთაშორისო კავშირის კონფერენცია.

**ზალცბურგი.** დილის 10 საათზე მოვიდა გრაფი ერენტალი. თორმეტის ნახევარზე სან-ჯულიანომ ინახულა იგი. ბაასი ერთ საათს გაგრძელდა. 1 საათსა და 15 წ. ერენტალი თავის მხრივ ეწვია სან-ჯულიანოს სადარბაზოდ. შემდეგ ორივე მინისტრმა, ავარნის ელჩმა, კანცელარი ს დირექტორმა ფასჩიოტიმ და სალეგაციო მრჩეველმა სადილი ერთად ისადილეს.

**ვენა** „კორესპონდენც ბიურო“-ს ატყობინებენ ზალცბურგიდან: მინისტრთა ურთიერთობას მეგობრული ხასიათი ჰქონდა. საუზმის შემდეგ ერენტალს, სანჯულიანოს და ავარნის ელჩს ცხარე კამათი ჰქონდათ. ოთხის ნახევარზე მათ ავტომობილით გაისეირნეს გოლინსკენ და ლიუგის ხეობისკენ.

**სპეცია.** ბაქტერიოლოგიურის გამოკვლევით დაამტკიცეს ხოლერით გარდაცვალების ერთი შემთხვევა.

**ბერლინი.** ხოლერის ნიშნებით ავადმყოფ ორ ქალს ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ ხოლერის ვიბრიონები ვერ აღმოუჩინა.

**ბერლინი.** სახლის მსახური, რომელიც ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში გახდა ხოლერით ავად, გარდაიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** პალატში ორი კაცი გახდა ხოლერით ავად.

**სტამბოლი.** შეიხ ულ-ისლამმა მინისტრთა საბჭოში განსახილველად შეიტანა ბერძნების დეპუტატების მემორანდუმი. მინისტრთა საბჭომ მის განხილვაზე უარი სთქვა და წინადადება მისცა დეპუტატებს შეიტანონ იგი განსახილველად პალატაში.

ხაქი-ფაშა მარიენბადიდან წავა პარიზს კრიტეს საკითხის შესახებ პიშონთან მოსალაპარაკებლად და პარიზის ბირჟაზე განზრახულ სესხის გასანაღდებლად.

ოსმალეთის მთავრობამ ცირკულიარი დაუგზავნა თავის წარმომადგენელთ სხვა სახელმწიფოებში და პროტესტი განაცხადა ვენიზელოსის და სხვა კრიტელების საბერძნეთის საერო კრებაში არჩევის წინააღმდეგ. ამასთანავე ავალებს მათ გამოარკვიონ, რა თვალით უყურებენ ამ ამბებს მფარველი სახელმწიფოები, ან რა ზომებს იღებენ ყველა ამის წინააღმდეგ.

### ჰაერში ფრენა.

**პეტერბურგი.** სალამოთი გატჩინის ჰაეროდრომზე მგზავრებით ექვსჯერ გაფრინდა პორუჩიკი რუდნიოვი ფარმანის სისტემის დირიჟაბლით. ყოველ გაფრენის დროს ჰაერში რჩებოდა 3—4 წუთი. ავიატორმა ლებედევმა რუსეთში გაკეთებულ ბიპლანით „რუსეთი ა" იფრინა ჰაერში 15 წუთს. პორუჩიკმა მატისევიჩმა მონოპლან „რუსეთი ბ"-ით იფრინა 5 წუთი.

### რუსეთი

**ეკატერინოდარი.** ხადიჟენსკის სტანიცაში ყაჩაღთა ბრბომ გასძარცვა მაიკოპის მრეწველთა საერთაშორისო საზოგადოების კასა. გაიტაცეს 10,000 მან.

**პეტერბურგი.** რუსეთის ტეხნიკურ საზოგადოებას ნება დართეს 1—8 ოქტომბრამდე ოდესაში გამართოს სავაჭრო-სამრეწველო კრება.

პეტერბურგის უნივერსიტეტში თხოვნების მიღება გაგრძელდება 28 აგვისტომდე.

ამავე უნივერსიტეტის საისტორიო—ფილოლოგიურ ფაკულტეტზე იხსნება ორი ახალი განყოფილება—ლინგვისტიური და ფილოსოფიური.

**პეტერბურგი.** პრიმორის ოლქში წყალდიდობისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად პრიამურის გუბერნატორს მიეცა 100,000 მანეთი.

**პეტერბურგი.** უნივერსიტეტში სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვიდან.

**კიევი.** ქალაქის გამგეობამ მოისმინა შავ ჭირთან საბრძოლველ ზომების შესასწავლად ოდესაში გაგზავნილ ექიმის მოხსენება და დაადგინა: შავი ჭირის მხრივ საეჭვო ავადმყოფთათვის მოაწყოს სამი საზაფხულო ბარაკი, თითო 30—40 საწოლიანი, მზად იქონიოს სადეზინფექციო ეტლი და მოაწყოს თაგვების მმუსვრელთა რაზმი.

**ოდესსა.** პტაშნიკოვის მაღაზიაში ვილაცეებმა კედელი გამოანგრიეს. წაიღეს ფულად 1000 მან. და 24,000 მანეთის სხვა და სხვა ნივთები.

### შავი ჭირი.

**ურალსკი.** ჯანიბეკინსკის მაზრაში აღმოაჩინეს შავი ჭირის მხრივ შვიდი საეჭვო ავადმყოფი. სამი გარდაიცვალა.

**ოდესა.** სასანიტარო აღმასრულებელმა კომისიამ დაადგინა სამი თვით დააპატიმროს ან 300 მანეთით დააჯარიმოს ყველა ის სახლისპატრონები და მეეზოვენი, რომელნიც დაჭერილ ვირთაგვებს არ დახოცავენ, ან რამე წინაღმდეგობას გაუწევენ თაგვების მმუსვრელთა რაზმს.

### ხოლერა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 71, მოკვდა 20. ავად არის 681 კაცი.

სემიპალატინის ოლქი ხოლერის მხრივ საშიშოდ გამოცხადდა.

**მოსკოვი.** დღეს ხოლერით არავინ გამხდარა ავად.

**პეტერბურგი.** ხოლერის შესახებ სააგენტომ ცნობები მიიღო: კიშინიოვში სენი ნელდება, ავად არის კიდევ ორი კაცი; კვირის განმავლობაში აკკერმანის მაზრაში ხოლერით ავად გახდა 1, მარიუპოლსა და მიდამოებში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 7; ნიკოლაევის მაზრაში (სამარ. გუბ.) ავად გახდა 215, გარდაიცვალა 82; ორენბურგში ავად გახდა 63, გარდაიცვალა 37, გუბერნიაში ავად გახდა 321, გარდაიცვალა 128; რიაზანში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2, გუბერნიაში ავად გახდა 210, გარდაიცვალა 123.

ნიკოლაევის მაზრაში (სამარ. გუბ.) ეპიდემიის გაჩენის აქეთ ავად გახდა 1577, გარდაიცვალა 652; ეკატერინოსლავში ავად გახდა 484, გარდაიცვალა 230, ავად არის 27; ავადმყოფობა ნელ-ნელა ნელდება. ზენკოვში და მის მაზრაში ეპიდემია მოისპო. ვიატკაში ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ აღმოაჩინა პირველი შემთხვევა ხოლერით ავად გახდომისა.

## ახალი ამბები

### ტფილისი

✦ **პანაშვიდი გორში.** დღეს, 19 აგვისტოს გორის საკრებულო ტაძარში დილის 12 საათზე გარდახდილი იქნება პანაშვიდი ნატალია მერაბის ასულის გაბუნია-ცაგარლის სულის მოსახსენებლად.

✦ **ნატო გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალება.** განსვენებულს მსახიობს ქალს ნატო გაბუნია-ცაგარლის გვამს მიწას მიაბარებენ დღეს, 19 აგვისტოს. დილით ცხედარს გამოასვენებენ წირვის შემდეგ ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან და მიასვენებენ კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე, სადაც განსვენებულს დაასაფლავებენ.

გუშინწინ, 17 აგვისტოს განსვენებულ მსახიობ ქალის ნატო გაბუნია-ცაგარლის გვამი საკუთარ სახლიდან მიასვენეს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, სადაც სალამოს 6½ საათზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი. პანაშვიდს დაესწრნენ ქალაქის თვითმმართველობისა, თავად აზნაურობისა, დრამატიულ საზოგადოებისა, ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა და ადგილობრივ პრესის წარმომადგენელნი, ქართველი არტისტები და განსვენებულის ნიჭის პატივისმცემელნი.

გუშინ პანაშვიდები გადახდილ იქმნა განსვენებულ ნატო გაბუნია-ცაგარლის სულის მოსახსენებლად ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და სახალხო სახლში.

✦ **ახალი საფოსტო განყოფილება.** მომავალ 1911 წლიდან ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის საფოსტო განყოფილებას გამოჰყოფენ ცალკე და საკუთარ ბინაზე გადაიტანენ. განზრახულია ეს განყოფილება მოათავსონ კუკიის ხიდთან იმ შენობაში, სადაც ამ ჟამად სასტუმრო „გრანდ-ოტელია".

✦ **ხოლერა სოფლად.** ამ დღეებში ტფილისის მაზრის სოფელ წყნეთში ხოლერის ნიშნებით ავად გახდა ადგილობრივ სასოფლო სკოლის ზედამხედველის ორი წლის ქალი საველიევისა. ამ დღეებშივე სოფ. ტაბახმელას ხოლერით გარდაცვლილა სოფიო ნაუმენკო.

✦ **სასანიტარო დათვალიერება.** 17 აგვისტოს ბოქაულმა ვაკულომ და ექიმმა მირაქოვმა ქალაქის მეათე უბანში დუქნები, სახლები და სასტუმროები დაათვალიერეს: ბევრგან უსუფთაობა აღმოაჩინეს და 9 ოქმი შეადგინეს.

✦ **ხოლერიანთა რიცხვი.** სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 17 აგვისტოს დილის 9 საათიდან 18 აგვისტოს დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 5 კაცი, ხოლერის ნიშნებით. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 18 ავადმყოფი, მიემატა—4, მორჩა და გამოეწერა—1, გარდაიცვალა—2, დარჩა—15.

✦ **დაპატიმრება.** 17 აგვისტოს ღამით ტფილისში დააპატიმრეს ივანე ხანდამიშვილი. დაპატიმრების მიზეზი გამოურკვეველია.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** 16 აგვისტოს დანიშნული ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის კრება არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

✦ **გადასახლებულის შეპყრობა.** 17 აგვისტოს ტფილისში პოლიციამ შეიპყრო ზუგდიდის მცხოვრები პლატონ ფილას-ძე ხურცია, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ **განკარგულება.** ტფ. პოლიცმეისტერმა დაავალა უბნის ბოქაულებს, რომ სამი დღის განმავლობაში სახლის პატრონებს დაანგრევინონ ხის შენობანი, განსაკუთრებით უმთავრეს ქუჩებზე.

✦ **მოსავალი ტფ. გუბერნიაში.** ტფ. გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფ. გუბერნიის ყველა მაზრის უფროსებს ათი დღის განმავლობაში ტფ. სასტატისტიკო კომიტეტს წარუდგინოს დაწვრილებითი ცნობები წლევანდელ მოსავლის შესახებ.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო პროფ. ალ. ხახანაშვილის შედგენილი წიგნი „მეფე იმერეთისა სოლომონ მე-II". გამოცემა წიგნის მაღაზია „ცოდნა"-სი. წიგნი შეიცავს 90 გვერდამდე.

✦ **ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 17 აგვისტოს ტფილისში ხოლერით ავად გახდა და ხოლერიანთა სამკურნალოში გაიგზავნა 4 კაცი. მათი გვარები: 1) მელანია გიორგის ასული სანაყოშვილი, 2) ზეინაბ-მაჰმედ-ალი კიზი, 3) მარტიროს მიკირტიჩის ძე ტერ-პოღოსოვი თა სარქის აკოფოვი. ავადმყოფთა ბინებს შესაფერი დეზინფექცია გაუკეთეს.

✦ **უკვალოდ დაკარგული.** პოლიცმეისტერმა დაავალა უბნის ბოქაულებს და მაძებარ პოლიციის უფროსს ზომები მიიღონ 13 აგვისტოდან ტფილისში უკვალოდ დაკარგულ ქალის მაჰრუი კარაპეტიანცის მოსაძებნად.

✦ 17 აგვისტოს, დილით, მუშაობის დროს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ერთ ერთ საამანათო განყოფილებაში ერთ ამანათში უცაბედად გატყდა შუშა, რომელშიაც ხოლერის მხრივ საეჭვო ავადმყოფის განავალი იყო ნოვობაიაზეთიდან გამოგზავნილი გამოსაკვლევად. ამან ერთი აურზაური გამოიწვია მოსამსახურეთა შორის. უმალ გამოიწვიეს სანიტარებისდა ექიმები. ამანათების საწყობს და მოსამსახურეთ დეზინფექცია გაუკეთეს.

✦ 17 აგვისტოს საერთო ჩხრეკის დროს ქალაქის სხვა და სხვა უბანში პოლიციამ შეიპყრო 17 უპასპორტონი.

✦ გამოვიდა **„თეატრი და ცხოვრება"** მორიგი (33) ნომერი, ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის ხსოვნის სახსოვრად შედგენილი და დაბეჭდილი. ნომერში მოთავსებულია მრავალი სურათი ნ. გაბუნიასი (სხვა და სხვა როლებში), წერილები ცნობები, ამბები, ლექსები და სხ. მთელი ნომერი ნ. გაბუნიას ეხება.

## ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალება

უკვე გავითქვით სახელი, რომ დამსახურებულ ადამიანის ღირსეულად დასაფლავებაში ძნელად თუ შეგვედრება ვინმე. ის პატივსცემა, რომელიც სიცოცხლის დროს არ ჰღირსებია ჩვენგან ადამიანს, სიკვდილის დროს მოევლინება ხოლმე სამთელ-საკმელად.

ის ყურადღება და სიყვარული, რომელსაც მსახურებს ადამიანი თავის სიცოცხლის ჟამს იფეთქებს ხოლმე ჩვენ გულში ძლიერ გრძნობად; მხოლოდ მას დავაყრით ხოლმე უხვად ყვავილებს.

ჩვენ უფრო სიკვდილის დროს ვაფასებთ ადამიანს, უფრო მაშინ გავიცნობთ ხოლმე მის ნამდვილ ღირსებას. სიცოცხლის დროს კი ხშირად ჩვენ თვითონვე ვუწამლავთ ერთ-მანეთს დღეებს და მიგვყავს სიკვდილის კარამდის.

ქართველ მოღვაწის ცხოვრებაში მხოლოდ ერთი დღეა სახელოვანი—ეს მისი დასაფლავება—და ამ ერთ დღესაც განგების ლოლიკით. ვერ ეღირსება ბოლმე იგი. ამ ერთი დღის შემდეგ კი ყველას მივსცემთ ხოლმე უფრო მეტ დავიწყებას ვიდრე თვით სიცოცხლისავე დროს.

ვიცით ქართველთა გულ-უხვობა ნატალია გაბუნიას სიკვდილზედაც გადმოდინდება წრფელ გრძნობად, ერთგულ სიყვარულად; ვიცით ქართველთა ნიჭი ქება-დიდებისა ბევრ დაფნის გვირგვინს დაუწნავს ნატოს და დაადგამს თავზე მისი ნიჭის აღსამაღლებლად.

ვიცით ბევრჯერ გავიგონებთ „დაუვიწყარი იქნება შენი სახელი ჩვენს გულში!" „შენ მოკვდი ხორცით და არა — სულით!" ყველა ეს ფიცი და დაპირება, (რომელიც თითქმის არავისაგან არ სრულდება) ჩვენ ყურადღებას არ იზიდავს. ჩვენ ყველაზედ მეტად გვაინტერესებს საზოგადოებრივი ხასიათი ნატო გაბუნიას სიკვდილისა.

ნატო გაბუნია, მ. საფაროვი, ვ. მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი და ქ. მესხი, არ, ეს დარჩეული პი·

## შრომა

* * *

ვინ ააკვნესებს
ლხენით ჩემს ლექსებს?—
მე თვით მუქაფად ჩემს ოცნებას ფრთები მოვკვეცე.
ვინ შემითვისებს?...

* * *

მხარევ—ობოლო!
გაჰქრა სიმბოლო...
ჰამლეტის სევდავ! ნამად გადნი, გულს ჩამეკეცე...
მომილე ბოლო.

ი. გრიშაშვილი.

## ბანკის საქმე

საფრანგეთისა, გერმანიისა და ინგლისის დეპოზიტები ახლა უდიდეს ჯამს შეადგენს—27 მილიარდ მარკას ანუ თორმეტ-ნახევარ მილიარდ მანეთს. ეს ჯამი ოთხჯერ აღემატება ამ ქვეყნების ბანკნოტების *) რაოდენობას; შემდეგში თან და თან, როგორც გამოცდილება აჩვენებს, დეპოზიტების ჯამი უფრო გადიდდება და მასთან ერთად გაიზრდება შიში, რომელიც შემდეგში მდგომარეობს.

რადგან ბანკნოტების ღირებულობა და მათი გამოყენება ალებ-მიცემობაში დამყარებულია დაუყოვნებლად ლითონის ფულზე შეცვლის საშუალებაზე, ამიტომ ყველა სახელმწიფოს კანონმდებლობა განსაზღვრავს ლითონის ნომინალურ ჯამს, რომელიც ყოველთვის უნდა იქონიოს საემისიო ბანკმა მის მიერ გამოცემულ ბანკნოტებთან შედარებით. მოხსენებულ სახელმწიფოთა 6 მილიარდის ბანკნოტები დაახლოვებით განაწილებულია 140 მილიონ მცხოვრებთა შორის. მართალია, არ არის მოსალოდნელი, რომ უცებ მეტმა ნაწილმა ბანკნოტების სამაგიეროდ ბანკებიდან ლითონის ფული გამოითხოვოს, მით უფრო, რომ თვით ბანკნოტების თვისება, როგორც სახელმწიფო და კერძო ვალების გადამხდელი იარაღისა, ბანკის პრესტიჟს მაღლა აყენებს.

სულ სხვაა დეპოზიტები, რომლის მაგიერ გაცემული ჩეკები და ბილეთები არსებითად იმავე ბანკნოტებს წარმოადგენენ. გარდა ნდობისა, სხვა არაფრით ხელმძღვანელობენ ფულის პატრონები, როცა ბანკში დეპოზიტები შეაქვთ. საშუალო დეპოზიტის ჯამი თვითეულ ფულის პატრონისა გაცილებით აღემატება ბანკნოტების საშუალო ღირსებას. ადვილად შესაძლებელია, რომ არა ჩვეულებრივი გამწვავებულ პოლიტიკურის თუ ეკონომიურის გარემოებების გამო, პატრონებმა დეპოზიტები ბანკიდან გამოითხოვონ. თუმცა დეპოზიტების განსაზღვრული ნაწილი ვადით არის შეტანილი, მაინც არა საიმედო იქნებოდა ისეთი დეპოზიტური ბანკი, რომელსაც პატრონთა პირველივე მოთხოვნაზე არ დაებრუნებინა მათთვის დეპოზიტები ვადის გასვლამდე სარგებლის დისკონტის გამოკლებით. ცხადია, ფულის მოთხოვნის მხრივ, დეპოზიტი უფრო სახიფათო ელემენტად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე ბანკნოტი საემისიო ბანკისათვის. ამის ფაქტიურ საბუთს გვაძლევს ამერიკის კრიზისი ორის წლის წინად მომხდარი. ნოემბრის რამდენიმე დღის განმავლობაში იქაურ დეპოზიტურ ბანკებიდან პატრონებმა, საერთო შიშის ზარით შეპყრობილებმა, გამოითხოვეს ას მილიარდზე მეტი მანეთი! ბანკებს სალსარი გამოელიათ, ორასამდე ბანკი გაკოტრდა, ხალხის მეურნეობა შეჩერდა.

მით უფრო საჭიროა კანონმდებლობა, დეპოზიტებისა და ბანკის სავარაუდო თანხის შორის განმსაზღვრელი. თუმცა არც ეს ჩაითვლება უბედურების ამაცილებელ საშუალებად, რაც არა ერთხელ დაამტკიცა ჩრდილო-ამერიკის შეერთებულმა შტატებმა—ამ ერთად ერთ სახელმწიფომ, სადაც კანონით ყოველი დეპოზიტური ბანკი მოვალეა იქონიოს სავარაუდო თანხად 15—20% დეპოზიტების ჯამისა.

სპეციალურ ლიტერატურაში აქაიქ შეგხვდებათ ამის შესახებ მსჯელობა. 1885 წელს „Русск. вѣдом."-სა და ვალტერ ბეჯგოტის წიგნის წინასიტყვაობაში ე. ეფშტეინმა ეს საგანი საფუძვლიანად განმარტა. ეხლა, როდესაც დეპოზიტების მნიშვნელობა ძლიერ გაიზარდა, გერმანიის ეკონომისტები, რომელთაგან დავასახელებთ პროფესორ ვარშაუერს და ცეზარ შტრაუსს, დაჟინებით თხოულობენ ხსენებულ საკითხის კანონმდებლობითი განსჯას, აგრეთვე საჭიროდ დაინახეს გერმანიაში სახელმწიფო დეპოზიტური ბანკის დაარსება.

გერმანელთა ასეთმა უკიდურესმა მოთხოვნილებამ კერძო ბანკები შეაფიქრიანა და გამოიწვია იქაურ ბანკირების კონგრესი 1907 წელს ქალაქ ჰამბურგში.

ამ საკითხის შესახებ სულ სხვა აზრს ადგია პროფესორი შარლინგი. იგი თავის წიგნში „საბანკო პოლიტიკა" ამბობს: რომ დეპოზიტური ბანკი მოვალეა ისევე დაუყოვნებლივ იხადოს დეპოზიტები, როგორც საემისიო ბანკი ბანკნოტების მაგიერ ლითონის ფულს იხდის—ეს თავის თავად ცხადია. ხოლო, უკეთუ კანონმდებლობამ საჭიროთ დაინახა განესაზღვრა განსაკუთრებული პირობები ბანკნოტების უზრუნველსაყოფელად და დეპოზიტებისათვის კი არაფერი დაადგინა, ეს იმით აიხსნება, რომ უკანასკნელ შემთხვევაში ბანკს დამოკიდებულობა აქვს საქმიან პირებთან, რომელთაც შეუძლიანთ საკუთარი ინტერესი დაიცვან, პირველ შემთხვევაში კი—ფართო საზოგადოებასთან, რომელთა შორის უმრავლესობა ბრმად ენდობა ბანკს.

ასეთი მოსაზრება მართლი იქნებოდა, თუ რომ დეპოზიტებს საბანკო მოქმედებასა და ხალხის მეურნეობაში თანამედროვე მნიშვნელობა არა ჰქონოდა. ხოლო ახლა, როცა დეპოზიტები, მაგალითად ინგლისში, ოცდა ათჯერ აღემატება ბანკნოტებს, როცა ჩეკები, როგორც გადამხდელი იარაღი, ბანკნოტებზე მეტს ხმარებაშია და როცა დეპოზიტების პატრონებად არიან არა მარტო საქმის პირნი,—არა სამართლიანი იქნება იმის თქმა, რომ ერთ შემთხვევაში დაინტერესებულნი არიან რჩეულნი პირნი, მეორეში ფართო საზოგადოება.

მაინც, როგორც უკიდურესი ზომების მომხრენი დეპოზიტის უზრუნველსაყოფელად, ისე მათი წინააღმდეგნი საკითხს არა მართებულად აყენებენ. „სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით, ამბობს ეფშტეინი, ჩვენ უმიზნოდ და მავნებლადაც მიგვაჩნია დეპოზიტების უზრუნველსაყოფელად რაიმე პირობების კანონმდებლობითი განსაზღვრა, როგორც ეს არის ბანკნოტების შესახებ. საკითხის მიზან შეწონილი გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ რომ იმავე საკითხს არ დაუკავშირებენ საემისიო ოპერაციას უამისოთ ვერც ერთი კანონმდებლობა მიზანს ვერ მიაღწევს".

ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, რომ ერთად ერთი კანონმდებლობა—ამერიკული დეპოზიტების რეზერვად მოითხოვს 15—20% და სწორეთ ამერიკულმა 1907 წლის კრიზისმა ნათლად დაამტკიცა მისი უსაფუძვლობა. კრიზისის დასაწყისშივე ამერიკული დეპოზიტების ბანკებმა უცებ შეალიეს თავისი რეზერვები და 200 ბანკმა ვეღარ შესძლო დანარჩენი მოვალეთა დაკმაყოფილება, მათი აქტივების კარგ მდგომარეობის მიუხედავად. აქტივების იმობილიზაცია შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ საემისიო ბანკი იმ აქტივებს დაიგირავებდა და მით დეპოზიტურ ბანკებს წელს გაუმაგრებდა. საფრანგეთის ბანკი თავისი ელასტიური საემისიო სისტემით ადვილად შესძლებდა, ნათქვამის სისრულეში მოყვანას, ამერიკული-კი ამას მოკლებულია და რეზერვებმა კრიზისისაგან ვერც ბანკები დაიფარეს, ვერც საზოგადოება".

პრუსიის ლანდტაგში 1908 წლის 3 მაისს, ახალ საჩეკო კანონპროექტის განხილვის დროს ორატორებმა, სხვათა შორის, გამოსთქვეს, რომ სახელმწიფო თუ თავის მოვალეობად სთვლის ქვეშემრდომთა საკეთილდღეოდ გამოსცეს კანონები შესახებ ჯანმრთელობისა, სამუშაო დროს განსაზღვრისა, უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევისა და სხ., არა ნაკლებ მოვალეა იფიქროს ისეთ კანონებზედაც, რომელნიც ქვეშემრდომთ უზრუნველ ჰყოფენ ფინანსიურ შერყევისაგან. უსასტიკეს ფინანსიურ შერყევას გამოიწვევს თანამედროვე დეპოზიტური სისტემა. თუმცა ახალი საჩეკო კანონი, რომელიც ხელს შეუწყობს თავისუფალ თანხების კონცენტრაციას ორატორებმა რაციონალურად იცნეს, თანაც საჭიროთ აღიარეს მოქმედების ისეთი ორგანიზაცია, რომ ბანკებში შეტანილი დეპოზიტებს უფრო მოძრავი, ადვილად გამნაღდებელი ხასიათი მიეცეს.

ფელიქს ულრიხი ამის შესახებ ინგლისურ დეპოზიტურ ბანკების მოქმედებაზე მიუთითებს და ურჩევს გერმანული ბანკებიც ისე მოაწყონ იმავე დროს არ ავიწყდება, რომ ამერიკული ბანკების, ემისიური სისტემის მიზეზით, მიუხედავად რეზერვებისა, დეპოზიტურ ბანკებს გაჭირვების დროსაც არ შეუძლიანთ ვექსელები საემისიო ბანკში დააგირაონ. ქვევით დავინახავთ, რამდენად მართალია ინგლისურ ბანკებზე მისი შეხედულობა.

ინგლისი დეპოზიტის საქმის სამშობლოა, სადაც მან უმაღლეს წერ

---

*( იხ. „სახ. გაზ." N 85.

*) ბანკის მიერ ფულის სამაგიეროდ გამოცემული ქაღალდია, რომელიც დაუყოვნებლად შეიძლება ფულზე შეიცვალოს.

რომელთა გამოსვლასთანაც დაკავშირებული ქართული რის ნამდვილი ცხოვრება და თარება. ქართული თეატრის ილ საძირკვლებს მათ დაადგეს რი კედლები; მათ თავიანთი თ, შემოქმედებით შექმნეს ეპოქართველთა ცხოვრებაში.

ტოს „ხანუმას“ თამაში—ეს ოც თ წლიანი ეპოქაა ჩვენს ცხობაში. მაშინდელ საზოგადოების ვნებას შეეფერებოდენ „ხანუ-“, „ხანუმებს“ შეეფერებოდა და სწორედ ეს მთლიანი თალი ჰქმნის უძლიერეს და უშესანავეს ეპოქას. ქართული თეატ- ცხოვრებაში.

ითქოს მხოლოდ ოთხმოციან ებში იფეთქა ქართველთა ნიჭიამ და ძრიელ ტალღებად მოენენ ჩვენ თეატრს ხუთი-ექვსი ის სახით.. ოც და ათი წელი- მათ სახელოვნათა და პირ-ნად ასრულეს თავიანთი მოვალე- და მათ შრომასაც, მათ შემოებასაც ღირსეული ნაყოფი მოდა.

ჯგუფი წარმოადგენდა ნამლ კულტურულ ძალას შემოქების ნიჭით აღჭურვილს. იგინი ნდელ საზოგადოებას თუ წინ სწრებდენ ყველასფერში, თორემ ნ არ ჩამორჩებოდენ. ამიტომ შრომასაც დიადი აღმზრდელი შვნელობა ჰქონდა მაშინდელ ბის წინაშე, ამიტომ იყვენ იგი- ძლიერნი, ამიტომ ჩაითვლება მოღვაწეობა მთლიან ეპოქად ნი თეატრის ცხოვრებაში,

ხლა კი რას ვხედავთ?

ვენ სცენაზე დიდი ნიჭების სავლოდ პატარა-უმნიშვნელო ნი ამ დაიჭირეს ადგილი; ინტელიტურად მაღლა-მდგომ მსახიობთა ვლად თითქმის სრულიად გაულებელნი ეწევიან მათ მძიმე ელს.

ხლანდელი საზოგადოება ბევრით ნ წავიდა მაშინდელ საზოგადოეზე; ეხლანდელ სცენის მუშაკნი ბევრით ჩამორჩენ მაშინდელ მუკთ. ეხლანდელ საზოგადოებასა და ატრს შორის, თითქოს ხიდი ჩა, და და დაშორდენ ერთმანეთს.

იმის მაგიერ, რომ თეატრი წინ წრობდეს საზოგადოებას და ანვითარებდეს მის გემოვნებას, დღეს საზოგადოებას უხდება გაანავითაროს გემო ქართული სცენის მოღვაწეებში და თუ თავისზე წინ ვერ დააყენებს, გვერდში მაინც ამოაყენოს როგორმე.

რა საჭიროა ცარიელა ფიცი! რა საჭიროა აღთქმა სიტყვით! ყველაფრის თავდები საქმეა. ვისაც უყვარს ნ. გაბუნია და მის მსგავსნი მუშაკნი, ვინც პატივსა სცემს მათ, დაე, სიტყვების ნაცვლად საქმით მოუმართონ ხელი რომ ქართული თეატრი დღევანდელ საზოგადოებას წინაშე ისევე ასრულებდეს თავის მოვალეობას, როგორც ასრულებდა მას ნატოს მოღვაწეობის დროს. დაე, მნიშვნელობა ქართულის თეატრისა საზოგადოების თვალში აიყვანონ იმავე ზომამდის, სადამდისაც იყო ნ. გაბუნიას დროს! დაე, ამგვარად განაგრძონ ის საქმე, რაც ისე უყვარდა ნატოს, სადაც ააყვავა მან თავისი ნიჭი და რომელსაც ერთგულ მსხვერპლადვე შესწირა იგი! მხოლოდ ამგვარად იქნება აღსრულებული ფიცი მის სამარეზედ მიცემული, მხოლოდ ეს იქნება ყველაზედ მეტი პატივისცემა, როგორც ნატოსთვის, ისე ყველასთვის. მხოლოდ ეს იქნება ცოცხალი ყვავილი უანგარო მუშაკთა საფლავზედ დარგული მათი სულის სანუგეშებლად და პატივსაცემლად. **—ი.**

„სახალხო გაზეთის“ კანტორა

**აცხადებს, რომ 8 აგვისტოდან მოესპო გაზეთის გზავნა** იმ ხელის მომწერთ, ვისაც 6 მანეთზე ნაკლები ჰქონდა შემოტანილი. აგრეთვე მოესპოთ გზავნა თვიურ ხელის მომწერთაც, რომელთაც 8 აგვისტოსთვის არ შემოიტანეს ხვედრი ფული.

**მოვაგონებთ წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივლისისათვის უნდა გადაეხადათ** წლიური ხელის მოწერის ფასი. ვისაც სრულად არა აქვს შემოტანილი, დააჩქარონ და შემოიტანონ.

**ვისაც ფული აქვს გამოსაგზავნი აუცილებლად ამ მისამართით გამოგზავნონ:**

**Тифлисъ, Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.**

**კანტორა პასუხის-მგებელი არაა,** თუ ფული სხვა მისამართით იყო გამოგზავნილი და გაზეთი არ მიუვიდათ. ვინც „სახალხო გაზეთზე“ ან სხვა სახელზე გამოგზავნა ფული, დააჩქაროს და განცხადება შეიტანოს ფოსტის კანტორაში ფული ზემოდ ნაჩვენებ ადრესზე გადასცენ. **„სახალხო გაზეთის“ კანტორა.**

—

**(ბიოგრაფიული ცნობები).**

ნატალია გაბუნია დაიბადა 1859 წელს, 3 თებერვალს. იმის მამა—მერაბ გაბუნია დიამბეგი იყო, დედა ფავლენიშვილის ქალი. ქართული წერა-კითხვა მომავალ მსახიობს ასწავლა თავისმა ბებიამ, ნიჭიერმა მანდილოსანმა, რომელიც ლექსებსაც სწერდა თურმე (ნატოს ჰყავდა კიდევ ორი ძმა და სამი და). 12 წლის ნატო ვითომდა სასწავლებლად მიუბარებიათ გორში ერთ რუსის ოჯახში, მაგრამ სამი თვის შემდეგ წასულა ამ ოჯახიდან ეს იყო მთელი სწავლა განათლება ნატალია გაბუნიასი...

თექვსმეტი წლისა იყო, როდესაც ნატო პირველად სცენაზე გამოვიდა, ეს ამბავი მოხდა გორში 1875 წელს. წარმოდგენას დაესწრო დავით ერისთავი, რომელმაც ნატოს სთხოვა ტფილისში ჩამოსულიყო წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად.

1876 წელს ნატალია მამამ ტფილისში ჩამოიყვანა და აქ შუა ბაზარში, სამუსიკო საზოგადოების სადგომში. ახალგაზრდა ქალმა მეორედ მიიღო მონაწილეობა წარმოდგენაში. იმღერა კიდეც, რაც დამსწრეთ ძალიან მოეწონათ.

ქართული წარმოდგენები წინადაც იმართებოდა, მაგრამ ამ ხანებში ლაპარაკი იყო მუდმივ დასის დაარსებაზე. ეძებდნენ არტისტულ ძალებს და, რასაკვირველია, ნ. გაბუნიას მაშინვე ყურადღება მიაქციეს. მიმართეს მამას, მაგრამ იგი დიდ უარზე იდგა და, არც საკვირველია, მაშინ სცენაზე მოღვაწეობა საძრახისს საქმედ ითვლებოდა. ნატო გორიდან გამოიპარა, მამის ნებადაურთველად, ზაალ მაჩაბელს გამოჰყვა ტფილისს.

მუდმივი დასი დაარსდა 1879 წელს. რა თქმა უნდა, ნატალია გაბუნია სიხარულით მიიღეს დასში. იმ დროს დასში იყვნენ: მარიამ საფაროვი, ბარბარე კორინთელი, მაშო ყიფიანი, ვასილ აბაშიძე, კონსტ. ყიფიანი, კოტე მესხი, ზაალ მაჩაბელი, ადამ ჩუბინაშვილი, ნიკოლოზ შიშნიაშვილი და ავქსენტი ცაგარელი.

აი, ამ დროიდან იწყო მოღვაწეობა განსვენებულმა ნატომ, რომელიც ყოველთვის დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა თეატრში. როდესაც ის თამაშობდა — ოვაციები იმართებოდა ხოლმე. მისი როლებისათვის პიესებს სწერდნენ. იმის საუკეთესო როლები იყო: ხანუმა, ხამფერა, ქიჩქინე, ფროშარი და მრავალი სხვა.

1882 წელს ნატო მისთხოვდა ჩვენს საუკეთესო დრამატურგს ავქსენტი ცაგარელს.

ნატალია გაბუნია ცაგარლის ნიჭს უცხოელებიც აფასებდნენ. 1884 წ. ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი რუსი დრამატურგი ოსტროვსკი, დაესწრო თავის პიესის „შემოსავლიან ადგილის“ ქართულ წარმოდგენას. ძალიან მოეწონა კუკუშკინას როლში ნატალია და ცრემლ მორეულმა სთქვა: „კავკასიაში მოსვლას კი ვიფიქრებდი, მაგრამ იმას კი ვერ მოვიფიქრებდი, თუ ჩემს პიესას ქართულ ენაზე ნათამაშევს ვნახავდი და ამისთანა ახალგაზრდა მსახიობი ქალი ასე კარგად დამიხატავდა კუკუშკინას ტიპს“.

ძალიან მოეწონა ნატოს თამაში გამოჩენილ იტალიელ არტისტს როსსისაც.

1879 წლიდან მოკიდებული ნატალია მუყაითად ემსახურებოდა ჩვენს სცენას. მისმა ძლიერმა ნიჭმა ბევრს შეაყვარა თეატრი. აღსანიშნავია, რომ დღეს ნატოს გარდაცვალება საერთოდ ყველას მწუხარებას იწვევს—განურჩევლად რწმენისა, მიმართულებისა და წოდებისა. ნატოს დიდი სიყვარული აქვს ხალხში მოპოებული. ეს ნათლად გამოჩნდა გასული წლის 29 ნოემბერს და შემდეგაც, როდესაც მადლიერმა საზოგადოებამ დიდის ამბით იდღესასწაულა ნიჭიერ მსახიობის იუბილე. საქართველოს ყველა კუთხეებიდან ჩამოვიდა ხალხი. ჩვენმა მეზობელმა ერებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენს დღესასწაულში. საქართველოს ზოგიერთი კუთხე არ დასჯერდა ტფილისში მილოცვით და გაიწვია თავისი საყვარელი ნატო. ცალკე დღესასწაულები გაუმართავს აჭერთსა და იმერეთის სხვა და სხვა ადგილს.

ნატოს ღვაწლი ქართულ თეატრისადმი დიდია. ამის აღნუსხვა ეხლა ძნელია ჩვენი თეატრის მომავალი მემატიანე ღირსეულად დააფასებს ნატოს სამსახურს და არ დაივიწყებს იმასაც, რომ ეს ნიჭიერი მსახიობი არ ივიწყებდა სახალხო თეატრსაც, **რომლის** წინაშე დიდია იმის ღვაწლი.

—

**ქუთაისი.** უსაზღვრო მწუხარებას აცხადებს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა, შეძრწუნებული იმის გარდაცვალებით, ვინც სიამაყე იყო ქართულის სცენისა და ვინც თავის შეუდარებელის ნიჭით დაამტკიცა, რომ უფლება აქვს კვლავ იარსებოს იმ ხალხმა, რომელმაც ის დაჰბადა.

გამგეობის თავმჯდომარე **ქიქოძე.**

—

**ქუთაისი.** ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ღრმა მწუხარებით ჰგლოვობს ქართული სცენის ძვირფას ვეტერანის ნატალია მერაბის ასულის გაბუნია ცაგარლის დაკარგვას. გამგეობამ დაადგინა გაიგზავნოს გამგეობის ერთი წევრი დასაფლავებაზე დასასწრებლად, გვირგვინით შეიმკოს მიცვალებულის კუბო, გადაიხადოს პანაშვიდი. **ფურაძლოვი.**

—

**ცემი.** ვუერთებთ ჩვენს ულრმესს მწუხარებას საქართველოს საუკეთესო შვილთა გულისკვნესას, ამ ფრიად საგრძნობელ დანაკლისის გამო. ვსთხოვთ უზენაესს კვლავ მრავალი მოევლინოს ჩვენს თეატრს ნატალია გაბუნიასთანა ერთგულ მოსიყვარულე და თავდადებული მუშაკი მსახიობი.

**ანო და სოსიკო მერკვილაძე.**

—

**ქუთაისი.** სასიქადულო და სახელოვან ნატოს სიკვდილმა გულით დაგვალონა ვუერთებთ ჩვენს მწუხარებას სამშობლო ღარიბ სცენის საერთო გლოვას.

თვალწინ გვიდგა—ქუთაისის სცენაზედ, უკანასკნელად, თურმე ჩვენდა, გამოსათხოვრად, შესრულებული „ხანუმა“ და „მადამ ფრომარი“, რომელთა ხილვაც ულმობელმა სიკვდილმა ვინიცის რამდენის ხნით მოგვისპო.

**ლადიკო კახიანი, ჯაფარ-ფაშა.**

—

**ცხინვალი.** დრამატიულ ხელოვნების მოყვარულნი ღრმად შეწუხებულნი ნიჭიერ მსახიობის ნატოს დაკარგვით, უერთებენ თავიანთ მწუხარებას საერთო გლოვას.

**დრამატიულ ხელოვნების მოყვარულნი**

—

**ქუთაისი.** ღრმად ვწუხვართ წამებულ მასწავლებლის ნატოს დაკარგვით.

მსახიობნი **ყალაბეგიშვილი და კორიშელი.**

—

**თელავი.** უზომოა ჩვენი მწუხარება ძვირფას და ნიჭიერ ნატოს დაკარგვის გამო. **ანდრონიკაშვილისა, დადიანი, აწყურელი, აჯიამამუდოვი.**

—

**კოჯორი.** შეძრწუნებულნი ვართ ძვირფას ნატო გაბუნიას მოულოდნელ გარდაცვალებით. გთხოვთ ჩვენი მწუხარება შეუერთოთ სამშობლოს საერთო გლოვას.

**ლოლობერიძე, ჯორჯაძე.**

## გლოვა მელპომენის ქართულ ტაძრისა

**(ნ. გაბუნია-ცაგარლის ხსოვნას)**

ეს ცრუ სოფელი,
მწარ სამყოფელი,
არვის დაინდობს,
ყველას გაიტანს:
უდროვოდ ალპენს,
უდროვოდ აწყენს,—
კაცს აბურთავებს,—
სად არ გაიტანს?!..

**აკაკი.**

დღეს ჩვენს დედა ქალაქს—ტფილისს უმალ მძიმე წილად ხვდა სამუდამოდ გამოეთხოვოს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო საზოგადო მოღვაწე მანდილოსანს და სამძიმარი უთხრას მელპომენის ქართულ ტაძარს, ვით მოსიყვარულე და თავ-დადებულ დედით დაობლებულს.

სულ არ გასულა შვიდი-რვა თვე მის შემდეგ, რაც ჩვენ გადავიხადეთ

ლამდე მიაღწია, თანაც თავისეური ხასიათი მიიღო. ინგლისმა კვლია გზა, რომლისკენაც მიტვიან ყველა კულტურული სალმწიფონი.

ინგლისის დეპოზიტთა ჯამი ახლა ადგენს დაახლოვებით რვაას საც მილიონ გირვანქა სტერლინგს, ი. რვა მილიარდ ას ორმოცდაათ ლიონ მანეთს, ამასთან ინგლისის ნკების საკუთარი თანხა-კი 80 მიიონ გირვანქა სტერლინგს არ ასილებია. მაშასადამე, მიბარებული ული თერთმეტჯერ აღემატება ნკების ძირითად თანხას. ჩეკებისა ა მრავალ განყოფილებათა შემეობით, აგრეთვე საანგარიშო დარბაზების განვითარებული სისტემის ამო ინგლისური დეპოზიტები წარმოადგენენ იმ ქვეყნის ყველა თავისუფალ თანხებს, ბანკების აუზებში თავმოყრილს, საიდანაც ისინი მრავალ ნაკადულებად განაწილდებიან სახალხო წარმოების გასანაყოფიერებლად. 1903 წელს დიდ ბრიტანიაში 7043 ბანკი მოქმედებდა, თითო ბანკი მოდიოდა 6238 სულზე. ლონდონში თითქმის ქუჩა არ მოიპოვება, სადაც საბანკო დაწესებულება არ იყოს გახსნილი. არის ამისთანა ბანკებიც, რომელთაც 400 და 500 განყოფილება აქვთ. ერთი ბანკი „ლოიდ“ 645 განყოფილებიანია. უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში ინგლისში 3124 საბანკო განყოფილება გაიხსნა.

საინტერესოა ვიცოდეთ, როგორი ორგანიზაცია აქვს ამ უდიდეს საბანკო მექანიზმს.

შრომის განაწილების ეკონომიური პრინციპი, ეკონომისტთა მამამთავრის—ადამ სმიტის მიერ აღიარებული, ზედმიწევნით შეითვისა მისმა ხალხმა და საფუძვლად დაუდო ეკონომიურ ძლიერებას. იგივე პრინციპი მიღებულ იქმნა ინგლისის საბანკო ორგანიზაციაში.

მრავალ დარგის საკრედიტო ოპერაციისათვის ინგლისში სპეციალური საბანკო დაწესებულება არსებობს, რომელთაც განსაკუთრებული ჯგუფები აწარმოებენ, კრედიტის საქმეს განაგებენ შემდეგი დაწესებულებანი:

1) საემისიო ბანკები, ბანკნოტების გამომცემელნი, ამათში უპირველესია ინგლისის ბანკი;

2) დეპოზიტური ბანკები, სააქციონერო და კერძო;

3) ვაჭარ-ბანკირები;

3) სავაჭრო ანუ საკრედიტო ბანკები, უცხოელების მიერ დაარსებულნი, რომელნიც სესხით ხელს უწყობენ ზღვის გარეშე ვაჭრობას;

5) საფინანსო და მწარმოებელთა ბანკები; და 6) ვაჭარ-შუამავალნი, დახმარების აღმომჩენი ვექსილების განაღდებასა და საქონლის სყიდვა გაყიდვაში.

ბანკის სახელით ინგლისში ისეთი დაწესებულება იგულისხმება, რომლის დანიშნულება დეპოზიტის საქმით განისაზღვრება. იმ ბანკირებს, რომელნიც სესხის გაცემას საკუთარის თანხით აწარმოებენ, ვაჭარ-ბანკირები ეწოდებათ. ასეთი ორიგინალური განაწილების დასასურათებლად მაგალითისათვის მოვიყვანთ როთშილდის ლონდონელ ფირმას, რომელიც ირიცხება არა ბანკად, არამედ ვაჭარ-ბანკირად და ამ ხარისხით ერთი წევრი ფირმისა ინგლისის ბანკის დირექტორად ითვლება, რადგან ძველადგანვე მიღებულ ჩვეულების გამო მას არ შეეძლო ინგლისის ბანკის დირექტორობა.

ყველგან, როგორც მკითხველსაც მოეხსენება, ვექსელების განაღდება და სესხის გაცემა შეადგენს ბანკის უმთავრეს ოპერაციას, რომლის საშუალებით ბანკი შეგროვილ თანხებს კლიენტთა შორის ანაწილებს, თანაც იგივე ბანკი ვექსელებისა, ფონდებისა და საქონლის პატრონებთან პირდაპირ ურთიერთობას იჭერს. ინგლისში სულ სხვა გვარად არის საქმე მოწყობილი შუამავალ მაკლერების დახმარებით. ინგლისის ბანკირები თავს არ იწუხებენ იმის გამოსარკვევად, თუ რომელი კლიენტი სანდოა და რომელი არა, ანრა ღირებულობისაა დასაგირავებლად წარდგენილი ფონდები და საქონელი. ეს საქმე მთლად ვაჭარ-ბროკერების ხელშია. ბანკი ბროკერებს უხსნის კრედიტს, გასცემს ფულს და მათგანვე ღებულობს ვექსილებს, ფონდებს, საქონელს ან სათანადო დოკუმენტებს. ინგლისელ ბროკერს, გარდა სახელისა, საერთო არა აქვს რა დანარჩენ ევროპაში ცნობილ შუამავალ მაკლერებთან. ინგლისელი ბროკერები თითქმის გამოუკლებრივ შეძლებული ფირმის პატრონები და პატივცემულნი არიან ინგლისელთა შეხედულობითაც-კი. ინგლისში რომ ვინმემ მდიდრის სახელი მოიპოვოს დიდი შეძლებაა საჭირო, საპატიო ვაჭრის სახელისათვის კი—უმწიკვლო პატიოსნება. ასე მაღლა სდგას ინგლისში კომერციული ეტიკა. ბროკერების შუამდგომლობა მეტად ხელს უწყობს დეპოზიტურ ბანკების მოქმედებას და, გარდა შრომისა და დროის დაზოგვისა, ბანკირებისათვის წარმოადგენს მეტს გარანტიას, ვინდგე მით წინაშე წარდგენილი მოვალეობის ქაღალდები. ასეთისავე წესით სწარმოებს დეპოზიტური ბანკების ოპერაციები დანარჩენ საფინანსო ორგანოებთან.

ინგლისის დეპოზიტური ბანკი ისუტავს ქვეყნის თავისუფალ კაპიტალს, როგორც ღრუბელი წყალს, თავს უყრის ამ უდიდეს ძალას საერთო რეზერვუარში, რომ იგივე ძალა ნაწილ-ნაწილ აამუშაოს იქ, სადაც მეტს ნაყოფიერებას, მეტს სარგებლობას გამოიღებს ქვეყნის საკეთილდღეოთ, მრეწველობისა და ალებ-მიცემობის სფერაში.

საანგარიშო მექანიზმი შინაური თუ საზღვარ-გარეთი, საფონდო თუ სასაქონლო სწარმოებს აქ ჩეკებისა და კომპენსაციების ე. ი. ჩათვლის საშუალებით. კომპენსაციის მექანიზმის ცენტრად მიჩნეულია საანგარიშო დარბაზები, რომელთაგან მარტო ლონდონელებმა 1906 წელს მიმღებ-მიმცემთა შორის 133 მილიარდი მანეთის ანგარიში გაასწორეს, თანაც ფულად არც ერთი პენსი არ მოანდომეს.

ავხსნათ ეს მაგალითი. წარმოვიდგინოთ, ქუთათურ ვაჭარს დაევალა ტფილისელ ვაჭრისა 1000 მანეთი, ამ უკანასკნელს დაევალა 1200 მანეთი მეორე ვაჭრისა ქუთაისშივე. ანგარიშის გასასწორებლად, იმის მაგიერ, რომ მოვალეებმა ერთმანეთს ფულები უგზავნონ, რაც გამოიწვევს ხარჯს, დროს დაკარგავს და გაგზავნილ ფულების დაბანდებას, იგივე საქმე შეიძლება ასრულდეს უფრო ადვილად ასე: ტფილისელი ვაჭარი გაუგზავნის ქუთაისში შუამავალ ბანკს 200 მანეთის ჩეკს, ე. ი. მცირე-ვადიან ვექსილს და 1000 მანეთის მოვალეობის ქაღალდს პირველ ვაჭრისას მეორე ვაჭრის სახელობაზე გადასაცემად. ქუთაისის ბანკი ადგილობრივ ვაჭრებს ანგარიშს გაუსწორებს და შემდეგ კონტოკორენტის, ე. ი. ურთი-ერთ მიმდინარე ანგარიშით, გაუსწორდება ტფილისის ვაჭარს ზედ-მეტ დახარჯულ 200 მანეთში.

ეს მარტივი მაგალითი მხოლოდ შორეულად წარმოადგენს იმ რთულ მექანიზმს ანგარიშისას, რომელსაც საანგარიშო დარბაზები მუდმივ აწარმოებენ ინგლისში, სადაც ალებ-მიცემობა სდუღს და გადმოდის, სადაც ათას-გვარი სამრეწველო-სავაჭროები ბანკებთან ერთად ურთი-ერთ გადაბმულ-გადაკვანძილნი არიან მრავალის ძაფებით.

40 წლის წინათ შედგენილ სტატისტიკით ცნობილ ჯონ ლებბოკის მიერ, საბანკო ანგარიშების გასწორებაში ოქრო და ბანკნოტები ხმარებაში იყო საერთო ჯამის მხოლოდ 3%, ახლა უფრო შემცირდა დაახლოვებით $1\frac{1}{2}$%-დინ, მაშასადამე სათადარიგო თანხა ანგლისის ბანკისა, ეგრედ წოდებულის ბანკთა ბანკისა, შეადგენს ინგლისის **თავისუფალ კაპიტალთა უშველებელ რეზერვს,** არა მარტო ინგლისისას, არამედ მთელის ქვეყნისას, რომელსაც ინგლისთან აუცდენელი დამოკიდებულობა აქვს და რომლის ფინანსიური მაჯის ცემა იწყება ლონდონში—მსოფლიო საფინანსო ცენტრში. ინგლისის ბანკის რეზერვი ირყევა 20 და 35 მილიონ გირვანქა სტერლინგის შუა—ეს არის მთლად მისი თავისუფალი თანხა, მისი გამამეფებელი საქვეყნო ალებ-მიცემობაში.

ამით აიხსნება, როგორის გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს საქმის ხალხი ინგლისის რეზერვის მდგომარეობას; რომლის მესამედამდან დაწევა მედარებით ბანკის მოვალეობათა ჯამისა ხშირად შიშს გამოიწვევს საფინანსო ბირჟაზე.

ლონდონის ბირჟაზე გავლენა აქვს იმასაც კი, თუ რომ ინგლისის ბანკის დირექტორების კრება, რომელიც ყოველ ხუთშაბათობით ხდება, გასანაღდებელ %-ის დასადგენად, ჩვეულებრივზე მეტს ხან გაგრძელდა. თუ არ განსაკუთრებული შემთხვევა, ბანკის დირექტორებიც ცდილობენ რამდენადაც შეიძლება კრება ადრე გაათავონ და კარში მომლოდინე ბირჟის ხალხი დროზე დაამშვიდონ.

ინგლისის საფინანსო ბაზრის ეს სუსტი მხარე დიდი ხნის საზრუნველო საგანს შეადგენს ინგლისელ ბანკირებისას, ხოლო საქმეს ჯერ ვერაფრით ეშველა ინგლისელთა კონსერვატიზმის მიზეზით.

საქმე ის არის, რომ ანორმალური მდგომარეობა წარმოსდგება არა არსებულ საფინანსო სისტემისაგან, რომელიც სამაგალითოდ უნდა ჩაითვალოს მთელს ევროპაში და რომელიც უკანასკნელ ხანს უფრო გაუკეთესდა, რადგან თავისუფალ თანხების ზრდის გამო ალებ-მიცემობა მომეტებულ ნაწილად ფულზე სწარმოებს და ვექსილების ჯამი შესამჩნევად შემცირდა. ერთს ინგლისელ ბანკში 1882 წელს ვექსილების პორტფელი დეპოზიტების ჯამის 42%-ს შეადგენდა, 1900 წელს-კი მხოლოთ 22%-ს. სხვა ბანკებშიაც ვექსილებმა 51%-დან 18%-დან იკლეს. ინგლისურ საკრედიტო სისტემას, გარემოების მიხედვით, შეუძლიან ყოველთვის შეამოკლოს მოთხოვნილება.

**ეგნატე ხრამელაშვილი.**

(დასასრული იქნება)

ამავე ტაძრის დღესასწაული, როდესაც მჭიდროდ ავსებულ ქართულ თეატრში, ჩვენ ხალხთან ერთად, ყველა ეროვნების წარმომადგენელნი, გულწრფელ და აღტაცებულ სიტყვებში, მადლობასთან ერთად, ხოტბა ქებას შეასხამდნენ ზეგარდმო მადლით ცხებულ ნიჭით დაჯილდოვებულ ნატოს, რომელმაც 30 წლის გამომავლობაში, შეუდარებელის იუმორით და ხელოვნურის, თავის დამავიწყებელ თამაშით, ჯან-ღონის დაუზოგველად, ემსახურებოდა ნარ-ეკლით მოსილს მშობლიურ სცენას, ჩვენვე ბუნებრივ სიცილსა გვგვრიდა ჩვენსავე ნაკლულევანება-დაბეჩავებაზედ და იმავე დროს ღრმა კვალს სტოვებდა ჩვენს თვითშეგნებაში, ჩვენს გაადამიანებაში.

ქართული, მუსულმანი, სომეხი,—ყველა გაერთიანებულიყო საერთო გრძნობით, ყველა ერთხმად აფასებდა ნატოს მომჯადოვებელს ნიჭს, იხსენიებდა იმის დაუფასებელს ღვაწლს, როგორც ხელოვნების წინაშე, ეგრეთვე ჩვენ მეზობლად მცხოვრებ ეროვნებათა დაახლოვებაში საერთო ნიადაგის შესაქმნელად. და რა არის იმაზედ კეთილშობილური, წარმტაცი და აღმამაღლებელი შეგნებულ ადამიანისათვის, რომელსაც თვისი შრომა ზვარაკად მიუტანია თანამოძმეთა კეთილდღეობის საკურთხეველზედ და თავისივე თვალით ხედავს და რწმუნდება, რომ „ცუდათ არ ჩაუვლია იმის განწირულს სულის კვეთებას“.

იმიტომაც იყო, რომ მაშინ, იუბილეის დროს, ნატოს ერთთავად სახეზედ უთამაშებდა სიამოვნება კმაყოფილების ღიმილი და იმასთან ერთად ვმხიარულობდით ჩვენც,—მისი თანამგრძნობნი თანამემამულენი. ნატოსი და ქართულ თეატრის დღესასწაული ამასთანავე იყო ჩვენი დღესასწაულიც:

რამდენადაც მაშინ ყველა ჩვენგანი განიცდიდა კმაყოფილებას და თავი მოჰქონდა ნატოს მირონცხებულ ნიჭით, იმდენად ეხლა, გულ-მოკლულნი და დამწუხრებულნი, უკანასკნელად ვაცილებთ უდროოდ და ბოროტად შეჩერებულს სიცოცხლეს იმ ადამიანისას, რომელსაც ჯერ კიდევ დიდხანს შეეძლო გაეწია ნამდვილი ქურუმობა ჩვენს ღარიბ მელპომენის ტაძარში და კიდევ არა ერთხელ დაეტკბო და სულის გამახალისებელი გრძნობა გამოეწვია, თანამედროვე უკუღმართი ყოფით გაბოროტებულ და დაბეჩავებულ ადამიანის არსებაში.

არის კი ისეთი ვინმე ჩვენში, ცხოვრებას ჩაკვირვებული, რომელსაც ზერელადაც არის გაუგია ქართულ თეატრის მატიანე და რომელიც ესთეტიურად თუ არ დამტკბარა ნატოს მომხიბლავი თამაშით არ გაუგონია მაინც იმისი სახელი!? და განა საჭირო კია ვისთვისმე ნატოს ნიჭის დახასიათება, ან თუ იმ ღვაწლისა, რომელიც იმას მიუძღვის, ჩვენთვის სკოლაზედ არა ნაკლებ მნიშვნელოვან, ხელოვნების დიდებულ ტაძრის თეატრის აღორძინებაში?!.

ნატოსთანა ძალები საუკუნეებით იბადებიან და არა მგონია იყოს ისეთი კუთხე ჩვენის პატარა ქვეყანაში, სადაც დღეს გულით არ იგლოვონ და მწარე სიბრალული გულ-დაწყვეტილთ, გონების თვალით არ გააცილონ გაუმაძღარ სამარის კარამდე, დაკარგული ეროვნული სიამაყე,—ჩვენი საბრალო ნატო...

**გ. ახალციხელი.**

## უკრაინელების და პოლონელების დამოკიდებულება ავსტრიაში.*)

გალიცია, როგორც ეკონომიურად, ისე სწავლა-განათლების მხრივ ძლიერ ჩამორჩენილია ავსტრიის სხვა პროვინციებიდან. თუ ამ მხარეში მოიპოვება ან პირველ-დაწყებითი ან საშუალო სკოლა მთლად პოლონელების ხელშია, უკრაინელები როგორც სხვა ეროვნების წარმომადგენელნი, გამოდევნილნი არიან იქიდან. მთელი ცდა უკრაინელ მოღვაწეებისა ამაოა, რადგანაც ყველა იმ ინსტიტუტებში, რასაც პოლიტიკური ხასიათი აქვს—პოლონელები არიან გამეფებულნი; ამიტომაც არ უჩანს ბოლო უკრაინელ-პოლონელების ახალგაზრდების ბრძოლას. ამ ბრძოლაში უეჭველია ჩვენი სიმპატიები უკრაინელების მხრით უნდა იყვნენ, ვინაიდან უკრაინელები გალიციაში თავის დაცვის პოლიტიკას აწარმოებენ და არა შეტევისას, როგორც ამას სჩადიან პოლონეთის პოლიტიკური მოღვაწენი. უეჭველია, რუსეთის პოლონელებს ჩვენ ყოველ ჟამს გაუწოდებთ თანაგრძნობის ხელს, უეჭველად მივესალმებით მათ გამარჯვებას, ვინაიდან რუსეთში მათი პოზიცია ჩაგრულ ერის პოზიციაა, ავსტრიაში კი, არ შეგვიძლია დავგმოთ ყველა ის, რასაც პოლონელები სჩადიან, არ გამოვუცხადოთ მათ ჩვენი პროტესტი. გალიცია რომ სწავლა-განათლებით ჩამორჩენილი ქვეყანაა ამას ის გარემოება გვიჩვენებს, რომ პოლონელ გლეხებში მხოლოდ 52 პროცენტმა იცის წერა-კითხვა; უკრაინელებში კი მათი რიცხვი 79 პროცენტამდის ადის.

აგრეთვე ცოტაა გალიციაში საშუალო შკოლები. ერთი საშუალო შკოლა, 30 ათას პოლონელ და 820 ათას უკრაინელ მცხოვრებლებზე მოდის. ტყვილა კი არ არსებობს 1867 წლის სტატუტი, რომელიც ღაღადებს, რომ ვერავითარ საშუალო სკოლას ვერ გახსნის მთავრობა თუ ლანტაგმა თავის აზრი არ გამოსთქვაო. რაღა ითქმის უნივერსიტეტზე, რომლის გამო არა ერთ ჯერ დაიღვარა და კიდევ დაიღვრება სისხლი! უნივერსიტეტი ეკონომიურათ და პოლიტიკურათ გაბატონებულ ეროვნების (პოლონელების) ხელშია. როგორც ვიცით რამდენად მეტია ჩაგვრა, იმდენად უფრო ილვიძებს ხალხი. უკრაინელი საზოგადოება, რომლის სრული დიფერენციაცია სოციალურის მხრით, ჯერაც არ დაბოლოვებულა, საკმაოდ გამოფხიზლდა და კიდევაც იბრძვის თავის ეროვნების საკეთილდღეოდ.

უკრაინელებთან ერთად, რომელიც ყველაზე ბოლოს გამოვიდა თავის საისტორიო ასპარეზზე, იბრძვიან ყველა სხვა დაჩაგრული ერებიც. უკრაინელ-პოლონელების გერმანელების და ჩეხების, სლოვენცების და იტალიელების, ჩეხების და პოლონელების და სამხრეთელ სლოვიანების და გერმანელების ბრძოლას ბოლო არ აუჩანს. იბრძვიან ყველა თავის ეროვნულ—კულტურულ ძალების განვითარების უზრუნველსაყოფელად. უეჭველია ჰაბსბურგის მონარქიის დღე დათვლილია. თუ ამ არევ-დარევას ადრე არ მოეღო ბოლო. ქვეყანას დააწყნარებს ყველა ერების სრული უფლებრივი გათანასწორება. ამიტომაც იმპერიის ბედ-იღბალი დემოკრატიის გამარჯვებაზეა დამოკიდებული დემოკრატიის გამარჯვება მისცემს ყველა ერებს თავის კულტურულ ძალების განვითარების გარანტიებს. ყველა ერების ინდივიდუალობის და ძალების გაშლას უზრუნველჰყოფს იმგვარი პოლიტიკური ორგანიზაცია, სადაც ადგილი არ ექნება პატარა, სუსტ ერის დაჩაგვრას, მიწასთან გასწორებას.

ავსტრიის ტერიტორიაზე გაჩაღებულ ეროვნულ დავას მოსპობს ნაციონალურ-ტერიტორიალურ იდეის გამარჯვება. ამიტომაც დემოკრატიის მთელი ყურადღება, მთელი მისი არსება აქეთ უნდა იყვეს მიქცეული.

**ქ. ჩხეიძე.**

*) იხ. „სახალ. გაზ.“, N 85.

## მოწერილი ამბები

**სოფ. ჭილოვანი** (ზემო იმერეთი). „მოსავლის აგ-კარგიანობაზე ნურას იტყვი ჭირნახულის შინ მიტანამდეო“.—სამართლიანად იმეორებს ხოლმე ზოგიერთი გლეხი ამ წინადადებას და მართლაც რომ იგი მწარე დაკვირვება—გამოცდილების ნაყოფია.

მაისის და ივნისის მეორე ნახევრამდე მოსავალს კარგი პირი უჩანდა. ჭილოვნელებს ეგონათ ორი წლის სარჩო მოუვიდოდათ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ; ივნისის მეორე ნახევრიდან ძლიერმა გვალვამ, სიცხეებმა დაიჭირა. პურის თავთავი იმდენათ მოუშუტა, რომ 9 ბათმან წმინდა დათესილი პურზე 12 ბათმანი პური არ გამოდიოდა, თუ არ მივაქვეყლით პურში ნარევ ჭვავს სიმინდი იმდენად შეაწუხა გვალვამ რომ მარცვლის დასრულებაზედაც დაეკარგათ იმედი. ვენახს ჯერ ფოთოლი გაუხმო და შემდეგ თითქმის მესამედი მოსხმულ მტევნების შეახმო. ბოსტნებში მწვანილეულობა მოტყუსა, საბალახოში თოხვეხი ცხოველი საძოვარს ძლივს და შოულობდა. გლეხების ნატვრას ერთად ერთი წვიმა შეადგენდა.

დადგა მარიამობის თვე და ბუნებაც შეიცვალა, ჭაერი აგრილდა და ნელნელა წვიმაც წამოვიდა, მაგრამ დაგვიანებული წვიმა ბევრ ნუგეშს ვერ იძლევა.

ასე ამ გვარად, კვლავაც ნახევარ წლის სარჩოს არ მოელიან გლეხები მაგრამ ამას ეხლაც გაუძლებენ, რომ თითქმის ყოველ თვე კარს არ ადგნენ სტრაჟნიკები თუ მწერლის და შემის, თუ იასაულების და სტრაჟნიკების, თუ მღვდლის და სხვა გადასახადებისათვის.

ზემო მოხსენებულ გადასახადებთა შორის აღსანიშნავია სოფ. პერევისის სამინისტრო სკოლისათვის ტყუილ-უბრალოდ გაწერილი გადასახადი. ეს გადასახადები ხდება პერევისის საზოგადოების შვიდ სოფელს. სოფ. პერევისის გარდა სიშორისა გამო სხვა სოფლები ვერ სარგებლობენ ამ სკოლით. სოფ. ჭილოვნის მცხოვრებთ კი უხდებათ იხადონ ორი სკოლის გადასახადი: ერთი სამინისტრო და მეორე თვით ჭილოვანში არსებულ საეკლესიო სკოლისათვისაც.

როგორც ვიცით განმათავისუფლებელ მოძრაობამდე თვით ეკლესიის მოსამსახურენი ყოველ თვითეულ კომლს, განურჩევლად შეძლებისა, თუ შეუძლებლობისა ოროდ მანეთს ახდევინებდენ წელიწადში. ეს ორი სამი წელიწადია კი მთავრობის მოწერილობის თანახმათ, მამასახლისები დრამას ახდევინებენ ბევრად თუ ცოტად შეძლებულ გლეხებს, შეუძლებელთ კი სოფლის საზოგადოების დადგენილებისამებრ ანთავისუფლებენ ამ გადასახადიდან.

კარგი იქმნებოდა, რომ დანარჩენი გადასახადებიც (თუ კი რამდენიმე მათგანის მოსპობა ან შემცირება შეუძლებელია) შეძლებისამებრ ახდევინებდნენ ყოველ კომლს.

შიმშილობას ქურდობაც თან დასდევს. გამოზამთრუდდება და სიმინდიც შემოაკლდებათ ხოლმე გლეხებს, დაიწყებს ბეღლების და წისქვილების მტვრევა. აი მეორედ ქურდებმა დარიგებული წისქვილები გატეხეს და 12 ბათმნამდე ფქვილი წაიღეს. საფქვავის მეპატრონენი უმეტეს მონაყიდე იყო სიმინდის, მათი ბავშვები შიმშილის გამო გამოცხობასაც არ აცდიდნენ მჭადებს და ისე კლეჯდნენ ცეცხლიდან. მეორე დღეს, როდესაც გაიგეს ფქვილის წაღება მეპატრონეების ქვითინი უგულო საგანსაც კი ატირებდა. სტრაჟნიკები კი ყოველ ამ გვარ შემთხვევის დროს შესძახიან გლეხებს: „მოგვეცით ქურდები და ჩვენ დავსჯით“. საკვირველია ღმერთმანი! თუ გლეხებმა ქურდები აღმოაჩინეს თვითონაც კი მოახერხებენ მათ დასჯას.

**ქლაკვი.**

—

**ონი.** 28 ივლის საღამოთი აქ მოვიდა სენატორი რეინკე. სენატორს გზაზე ხალხის ბლომად ხვდებოდა და ონამდის სულ ცხენებით მოაცილეს ადგილობრივი ადმინისტრაციის თანხლებით. მას მოჰყვა თან ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ტოლპიგო და სამი სხვა წევრი, რომლებმაც გააკეთეს მოსვლის თანავე რევიზია ადგილობრივ მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში. რეინკემ რა ნახა რომ ყოველისფერი რიგზე იყო მომრიგებელ მოსამართლეს იოსებ ტატიშვილს მიმართა შემდეგის სიტყვებით: „მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს გამოგიცხადო უღრმესი მადლობა საქმის ასე მშვენივრად წარმოებისათვის, რიგზე და დროზე რომ არჩევთ და აგრეთვე განაჩენები რომ გარკვევით გაქვს შედგენილიო“. სასამართლოს წინ ხალხი ბლომად იყო თავმოყრილი. იკითხა, სათხოვარი ხომ არასფერი გაქვთო, რადგან ხალხი მომზადებული იყო ამ კითხვისათვის და ვერასფერი უპასუხეს, უთხრა: თუ რამე სათხოვარი გაქვთ დასწერეთ და წარმოადგინეთო, ხვალ ადრე უნდა წავიდეო. მართლაც, მეორე დილაზე, წასვლისას მივიდა ხალხი და წარუდგა დეპუტაცია: დავით რაზიკოვი, რეფელა ბუზუკაშვილი. მათე გორდეზიანი და დავით კერესელიძე, მიართვეს თხოვნა. თხოვნაში იყო მოხსენებული თუ რა სიდარიბეს განიცდის მთელი რაჭა მიწის სივიწროვის გამო, და აგრეთვე უგზოობით სთხოვდენ სენატორ რეინკეს, ეშუამდგომლა, რომ მამისონის მთის უღელტეხილზე რკინის გზა თუ არა საფოსტო გზა გაეყვანათ კავკავიდან. სენატორმა რომ წაიკითხა ეს ქაღალდი უთხრა დეპუტატებს: ეგ ჩემი საქმე არ არის. ნამესტნიკს მოახსენეთო, ჩაჯდა ეტლში და გასწია ქუთაისისაკენ. დეპუტაციამ ერთი კრინტი არ დასძრა, რომ ადგილები რაც შეიძლება მალე გამიჯნულიყოს და მოსპობილიყოს ის ურთიერთობა და სისხლის ღვრა, რომელიც ეხლა სუფევს. მაგალითად საკაოს მთის საჩივარი ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც სასამართლოში სწარმოებს და მის დაბოლოვებას არა ეშველარა, აგრეთვე არ სთხოვეს რომ სასამართლოში ადგილობრივ ენაზე უთუოდ იყოს საქმის გარჩევა, შემოიღოთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, და სხვ. მართალია ჩვენის თხოვნით საქმე ერთბაშათ არ გადაწყდებოდა, მაგრამ საერთო ხმას ხომ მიჰყვებოდა.

10 ამ თვეს საღამოზე ადგილობრივ სატუსაღოდან გაიპარა სამი ტუსაღი. მათ გამოუჭრიათ ფანჯარა, გამოუღიათ რკინის ჩარჩოები და ისე გაპარულიყვნენ. ამათი საქმე გამომძიებლის ხელში იყო და ბრალდებოდათ სხვა და სხვა ბოროტმოქმედება.

ავადმყოფობამ აქ ძრიელ იჩინა თავი, სოფლებში ხშირია ავადმყოფობა, ფაღარათობა და პირი დებინება, ბევრს კიდევაც ასალმებს ამ წუთი სოფელს. ამბობენ რომ ხოლერა არ არისო; მაშ რა უნდა იყოს?

**სოფლელი.**

—

**ბეჟათ-უბანი** (შორაპნის მაზრა). ბეჟათ-უბნის საზოგადოების ყოფილი მამასახლისი 1907—1909 წ. ი. გოგნაძე მიცემულია სისხლის სამართალში სამსახურის დროს ბოროტმოქმედების ჩადენისთვის. აქაურებს ძალიან სძულთ საჩივარი თუ მოთმინებიდან არ გამოიყვანე არ იჩივლებს. ამით ბევრი სარგებლობს და ხალხს ათასნაირად აგიწროებს.

აქაური მამასახლისები ეფერთხიდებიან მხოლოდ მიწერ-მოწერას და საზოგადოების საჭიროებაზედ არაფერს დაგიდევენ. საზოგადოებას კი ბევრი რამ ესაჭიროება. აი მხოლოდ: ორ კლასიან სამინისტრო სკოლაში. მესამე მასწავლებელი ურომლისოდაც წარსულ წელში ბავშვები დაიჩენ სწავლის გარეშე, სისუფთავე, გზები, ხიდები და სხვა და სხვა...

ბეჟათ-უბნის საზოგადოების საქმეების გადაწყვეტას არ აბრკოლებს უმცირესობის დასწრება ყრილობაზედ. აი მაგალითი: წარსულს ივნისის თვეში შეიკრიბა უმცირესობა შესახებ ორ კლასიანი სამინისტრო სკოლის ეზოს შემობისა და კიდევაც ნარდათ გასცეს ორას მანეთად. სკოლის ეზოს ღობე ჯერ ჯერობით გვარიანია და ცოტა რომ შეკეთდეს ორ-სამ წელიწადს არა უშავს რა ორასი მანეთი ისე ხელწამოსაკრავი არ არის ბეჟათ-უბნის საზოგადოებისთვის, როგორც ზოგნი აქაურები ფიქრობენ. უკეთესი იქნებოდა ორასი მანეთი თუ ჰქონდათ მესამე მასწავლებლისათვის მიეცათ წარსულ წელში და მომავალში სამინისტრო კისრულობდა მასწავლებლის შენახვას და ან წიგნთსაცავისთვის მოეხმარებინათ. საჭიროა გულ შემატკივარი მეთაური.

არაფერი არ ითქმის აქაურ ინტელიგენტებზედ. ყველა საზოგადო საქმეებზედ უკან დგანან. ფიქრობენ თქმა და ასრულება არ იქნება და თავი რად შევიწუხოთო. ის კი დავიწყებით „ყოველივე კეთილ საზოგადო საქმეებს ესაჭიროება დიდი შრომა და სულგრძელობა. მეტადრე გაუნათლებელ ხალხში.

ბეჟათ უბნის საზოგადოებამაც იგრძნო თუ რა დიდი ზარალი მოსდით დღეობით და აი სოფ ნებოძირში ხალხი შეიკრიბა ადგილობრივი მღ. ი. მხატრიშვილის და მამასახლისის (იქაურია) თაოსნობით „პეტრეპავლობის“ დღეობის გადაგდების შესახებ და დაუდგინიათ, „ვინაიდგან ჩვენ ერი და მღვდელი ამ წელში ვიყავით წვეულნი სხვების დღეობებზედ, ჩვენთანაც მოვიდნენ და იმ დღიდგან დავითხოვთ ჩვენ ჩვენი სტუმარი, ნუღარ მოვლენ შემდეგში და ნურც ჩვენ ვეწვევით“ ო.

მგზავრი **ქართლელ-იმერელი**

## რუსეთი

✦ **გრძელი ულვაშები.** გაზეთი „რეჩი“ გადმოგვცემს: ქ. კრემენეცში დაბრუნდა მესამე სათათბიროს წევრი მემარჯვენე გლეხი დანილიუკი. ჩვეულებრივად მან ერთ დუქანში თავის მეუღლით კარგად იქეიფა. ქეიფის დროს მათ კამპანიას შეუერთდა ქვანახშირის მაღაროებში მომუშავე კარკიჩი. ლაპარაკის დროს ვიღამაც შეაქო კარკიჩის გრძელი ულვაშები. ეს ვერაფრად ეპაშნიკა სათათბიროს წევრს, მივარდა კარკიჩს და ქუჩური ლანძღვა-გინება დაუწყო: ჰა შე უმგზავსო შენა, გაჰკიოდა იგი, შენ პოლონელისავით გრძელი ულვაშები გაქვს, პოლონელები და ურიები კი უნდა გავმუსროთ... შენ ანარქისტი ხარ, თორემ მოკლე ულვაშები გექნებაო... ძლივ-ძლივობით დაარწმუნეს დეპუტატი, რომ გრძელი ულვაშები სახელმწიფო წესწყობილებას დანგრევას არ უქადდა... რამდენი ამისთანა სასაცილო ამბავი ხდება რუსეთში.

✦ **გაფრთხილება.** ახალ ალექსანდრიის აგრონომიულ ინსტიტუტის მთავრობამ გააფრთხილა ამავე ინსტიტუტის სტუდენტები, რომ თუ ვინიცობაა რამე არეულობა მოხდა, ყველას, ვინც ამ არეულობაში მიიღებს მონაწილეობას, სახაზინო სტიპენდია ჩამოერთმევაო.

✦ **სასწავლებლის დახურვა.** მარიუპოლის მაზრის სამოსწავლო კომიტეტმა დაადგინა სამუდამოდ დახუროს ქ-ნ პლატონოვის სკოლა, რადგან პლატონოვი გაზეთ „იუჟნ. ზარიას“ თანამშრომელს, „არა კეთილ-საიმედო“ პირს, გაჰყვა ცოლად. პლატონოვის სკოლა დიდი პოპულიარობით სარგებლობდა ხალხში.

## სპორტი

**ფრანგულ-კავკასიური ჭიდაობა.**

17 აგვისტოს ქართულ საზაფხულო თეატრში იჭიდავეს აპოლონმა და ყოფილმა შავ ნიღაბიანმა. შავ ნიღაბიანმა 16 წუთის განმავლობაში დასცა აპოლონი. პეტერსონს ამ საღამოს ძლიერი მოპირდაპირე შეხვდა. მოლდროვსის (წითელ ნიღაბიანის) დამარცხება ისე ადვილი არარის, როგორც მას ეგონა. ერთმანეთს შეებნენ ორი გამოცდილი მოჭიდავე, პეტერსონი, რომელიც თავის საკბილოს წინააღმდეგ ყოველთვის იერიშით მიდის ხოლმე წითელ ნიღაბიანთან ასე გულადადვე ვერ იქცეოდა. ფანდებს ნიღაბიანი ხმარობდა, პეტერსონი მხოლოდ იგერიებდა ხოლმე. კარგა ხნის ჭიდაობამ პეტერსონი მოღალა და უკან უკან დაიწყო ხევა და ხალიჩის იქით გაიშოტა. წითელ ნიღაბიანს ეს გამარჯვებად არ ჩაუთვალეს. ჟურის შენიშვნაზე გაშორდნენ ერთმანეთს და იმის მაგივრად რომ ზამოსულიყვნენ შუა ალაგს როგორც ჩვეულებაა და როგორც წითელ ნიღაბიანიც მოელოდა, პეტერსონმა სტაცა ხელი მიამიტად მომავალს შუა ადგილისაკენ და წააქცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ჟური ამ დროს მოსამართლეებს ემუსაიფებოდა პეტერსონს ფალავნისათვის ასეთი არა საკადრის ქცევას ჟურიმ ყურადღება არ მიაქცია და წითელ ნიღაბიანი დამარცხებულად აღიარა. ამან ხალხში დიდი აურზაური ასტეხა. წითელ ნიღაბიანმა ფალავანმა იმ წამსვე გამოიწვია პეტერსონი მეორედ საჭიდაოთ. ხალხმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვა წითელ ნიღაბიანი. მათ ჭიდაობამ 40 წ. გასტანა. გაისმა ზურნის ხმა და გამოვარდა პატარა ტანის მოხდენილი და სწრაფი დიმიტრაშვილი. მას გამოჰყვა ორი იმოდენა ტანის ჯიბგირი, დიმიტრაშვილმა ბევრი იხტუნა, ბევრი უხერხა მაგრამ რას გაწყობდა. რამდენიმე წუთი და დიმიტრაშვილი დამარცხდა. დასასრულს იჭიდავეს კულა გლდანელმა და ნაჯიმ. როგორც მოსალოდნელი იყო წააქცია გლდანელმა და ეს არც გასაკვირველია, რადგან ნაჯიმ ისიც კი არ იცის, რომ ჩოხაში შეიძლება ხელის ჩავლება?

**სპარტსმენი.**


## განცხადებანი

**ექიმი ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—165

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** $9\frac{1}{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** $1\frac{1}{2}$—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** $9\frac{1}{2}$—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**საღამოთი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—$6\frac{1}{2}$ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. გ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6\frac{1}{2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარცინშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**მატარებლების მიმოსვლა**

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმისკენ: | N 1, სწრ.—საღ. | 11 ს. 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. | 1 ს. 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—საღ. | 7 ს. 31 წ. |
| ბაქოსკენ: | N 2, სწრაფ.—დილ. | 8 ს. 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 10 ს. 4 წ. |
| | N 12, სამგზ.—დღ. | 2 ს. 38 წ. |
| ბორჯომისკენ: | სამგზ.—დილ. | 8 ს. 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. 36 წ. |
| ჯულფისკენ: | საფოსტო—ღამ. | 12 ს. 22 წ. |
| ერევნისკენ: | სამგზავრო—დღ. | 4 ს. 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმიდან: | N 2, სწრ.—დილ. | 7 ს. 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 9 ს. 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. | 11 ს. 4 წ. |
| ბაქოდან: | N 1, სწრფ.—საღამ. | 10 ს. 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. | 12 ს. 24 წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. | 6 ს. 58 წ. |
| ბორჯომიდან: | სამგზ.—დილ. | 6 ს. 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. 08 წ. |
| ჯულფიდან: | საფოსტ.—დილ. | 6 ს. 8 წ. |
| ერევნიდან: | სამგზავ.—დღის. | 6 ს. 33 წ. |

**ქირავდება** ერთი ოთახი ზემო სართულში მზიანი და ნათელი. შეიძლება მოწყობილობით და სადილით. კიროჩნი და ელისაბედის ქუჩის კუთხე № 69. მარჯვენა ზემოთი ზარი. იქვე მიიღებენ მოწაფეებს სრულ ხარჯზედ.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუღალტრო კურსები**

**ნ. ვ. აბრამიანისა.**

ავტორი „ვაჭრ. ფაბრ. და ნავთის წარ. ბუღალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილებ., როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,

✦ **ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ.** ✦

უკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხი თვის განმავლობაში სხვა და სხვა სისტემის ბუღალტერიას და საკომერციო სპეციალურ საგნებს. გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს (სავალდებულო არაა).

**კურსების მასწავლებლად უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.**

სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს 1910 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნასადილევს თხოვნები მიიღება ყოველ დღე საღამოს 3—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის შესრულების შემდეგ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით

ამას გარდა კურსებთან ცალკე გახსნილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის.

წესდება და პროგრამები ეგზავნება მსურველს უფასოდ. მსურველმა უნდა მიმართოს წერილობით თუ პირადად კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, N 22, ტელეფონი 744.

ზემოდ-დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისაგან გამოიწერს—გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—ო——1)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სონღულაშვილი